

“ინოვა” ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
---------------------------------	-----

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
4. შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია შვილობილის შესახებ	20
5. საოპერაციო შემოსავალი	20
6. საოპერაციო ხარჯები	20
7. ფინანსური ხარჯი, წმინდა	21
8. ძირითადი საშუალებები	21
9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	22
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
12. მიღებული სესხები	23
13. ვალდებულება დაკავშირებული მხარის აქტივების შეძენიდან	24
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
15. ფინანსური რისკების მართვა	24
16. დაკავშირებული მხარეები	27
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინოვას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინოვას“ და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ არსებითი უზუსტობაააა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინოვას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინოვას“ და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამომატალი ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ არსებითი უზუსტობააა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ყურდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხდენილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

28 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედენილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიბი“ (SARAS-F-550338)

28 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო



Closer to you

“ინოვა” ჯგუფი
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
საოპერაციო შემოსავალი	5	23,077	27,223
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(19,154)	(22,442)
საერთო მოგება		3,923	4,781
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,375)	(2,513)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	7	(588)	(539)
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა		4	1
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		88	(527)
მოგება დაბეგვრამდე		1,052	1,203
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		1,052	1,203
სხვა სრული შემოსავალი	8	3,664	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		4,716	1,203
წლიური მოგება განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		760	878
არამაკონტროლებელი წილისთვის	4	292	325
		1,052	1,203
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		3,664	-
არამაკონტროლებელი წილისთვის		-	-
		3,664	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		4,424	878
არამაკონტროლებელი წილისთვის		292	325
		4,716	1,203

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
გიორგი ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

“ინოვა” ჯგუფი
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)


	შენიშვნა	2020	2019
საოპერაციო შემოსავალი	5	23,077	27,223
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(19,154)	(22,442)
საერთო მოგება		3,923	4,781
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,375)	(2,513)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	7	(588)	(539)
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა		4	1
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან, წმინდა		88	(527)
მოგება დაბეგვრამდე		1,052	1,203
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		1,052	1,203
სხვა სრული შემოსავალი	8	3,664	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		4,716	1,203
წლიური მოგება განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		760	878
არამაკონტროლებელი წილისთვის	4	292	325
		1,052	1,203
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		3,664	-
არამაკონტროლებელი წილისთვის		-	-
		3,664	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		4,424	878
არამაკონტროლებელი წილისთვის		292	325
		4,716	1,203

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
გიორგი ყიფიანი



ფინანსური დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი



9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

“ინოვა” ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	23,235	20,360
არამატერიალური აქტივები		82	96
		23,317	20,456
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	1,404	1,142
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3,581	4,474
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	700	844
		5,685	6,460
სულ აქტივები		29,002	26,916
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		351	351
გადაფასების რეზერვი	8	3,664	-
გაუნაწილებელი მოგება		991	1,045
		5,006	1,396
არამაკონტროლებელი წილი		312	440
სულ კაპიტალი		5,318	1,836
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	4,895	5,245
		4,895	5,245
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები დაკავშირებული მხარის აქტივების შემენიდან	13	14,873	15,909
მოკლევადიანი სესხები	12	940	580
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,976	3,346
		18,789	19,835
სულ ვალდებულებები		23,684	25,080
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,002	26,916

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
გიორგი ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

“ინოვა” ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)


	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	23,235	20,360
არამატერიალური აქტივები		82	96
		23,317	20,456
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	1,404	1,142
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3,581	4,474
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	700	844
		5,685	6,460
სულ აქტივები		29,002	26,916
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		351	351
გადაფასების რეზერვი	8	3,664	-
გაუნაწილებელი მოგება		991	1,045
		5,006	1,396
არამაკონტროლებელი წილი		312	440
სულ კაპიტალი		5,318	1,836
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	4,895	5,245
		4,895	5,245
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები დაკავშირებული მხარის აქტივების შეძენიდან	13	14,873	15,909
მოკლევადიანი სესხები	12	940	580
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,976	3,346
		18,789	19,835
სულ ვალდებულებები		23,684	25,080
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,002	26,916

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
გიორგი ყიფიანი



ფინანსური დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი



9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

“ინოვა” ჯგუფი
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სათავო საწარმოს მფლობელებისთვის განკუთვნილი	არამაკონტრ. წილი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	351	-	648	999	370	1,369
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	878	878	325	1,203
დივიდენდების გამოცხადება	-	-	(481)	(481)	(255)	(736)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	351	-	1,045	1,396	440	1,836
წლის წმინდა მოგება	-	-	760	760	292	1,052
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	3,664	-	3,664	-	3,664
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,664	760	4,424	292	4,716
დივიდენდების გამოცხადება	-	-	(814)	(814)	(420)	(1,234)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	351	3,664	991	5,006	312	5,318

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
გიორგი ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

“ინოვა” ჯგუფი
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სათავო საწარმოს მფლობელებისთვის განკუთვნილი	არამაკონტრ. წილი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	351	-	648	999	370	1,369
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	878	878	325	1,203
დივიდენდების გამოცხადება	-	-	(481)	(481)	(255)	(736)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	351	-	1,045	1,396	440	1,836
წლის წმინდა მოგება	-	-	760	760	292	1,052
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	3,664	-	3,664	-	3,664
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,664	760	4,424	292	4,716
დივიდენდების გამოცხადება	-	-	(814)	(814)	(420)	(1,234)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	351	3,664	991	5,006	312	5,318

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
 გიორგი ყიფიანი



ფინანსური დირექტორი
 ირაკლი ფაჩუაშვილი



9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

“ინოვა” ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		1,052	1,203
კორექტირებები:			
- ცვეთა და ამორტიზაცია	6	1,882	1,868
- ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(3)	-
- საპროცენტო ხარჯი	7	632	576
- საპროცენტო შემოსავალი	7	(44)	(37)
- მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	6	232	173
- მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(88)	527
- ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული სარგებელი		-	(2)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		3,663	4,308
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		661	(918)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)		(262)	87
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(273)	858
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		3,789	4,335
გადახდილი პროცენტი	12	(629)	(565)
მიღებული პროცენტი		44	37
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		3,204	3,807
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,123)	(1,647)
ძირითადი საშუალებების გასვლა		22	58
არამატერიალური აქტივების შეძენა		(14)	(69)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,115)	(1,658)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა	12	(1,574)	(7,148)
სესხების მიღები	12	1,570	6,316
დივიდენდების გადახდა მშობლის მფლობელებისთვის		(814)	(481)
დივიდენდების გადახდა არამაკონტროლებლებისთვის		(420)	(255)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,238)	(1,568)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(149)	581
გაცვლითი კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		5	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	844	263
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	700	844

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
გიორგი ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

“ინოვა” ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)


	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		1,052	1,203
კორექტირებები:			
- ცვთა და ამორტიზაცია	6	1,882	1,868
- ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(3)	-
- საპროცენტო ხარჯი	7	632	576
- საპროცენტო შემოსავალი	7	(44)	(37)
- მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	6	232	173
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(88)	527
- ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული სარგებელი		-	(2)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		3,663	4,308
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		661	(918)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)		(262)	87
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(273)	858
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		3,789	4,335
გადახდილი პროცენტი	12	(629)	(565)
მიღებული პროცენტი		44	37
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		3,204	3,807
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,123)	(1,647)
ძირითადი საშუალებების გასვლა		22	58
არამატერიალური აქტივების შეძენა		(14)	(69)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,115)	(1,658)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა	12	(1,574)	(7,148)
სესხების მიღები	12	1,570	6,316
დივიდენდების გადახდა მშობლის მფლობელებისთვის		(814)	(481)
დივიდენდების გადახდა არამაკონტროლებლებისთვის		(420)	(255)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,238)	(1,568)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(149)	581
გაცვლითი კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		5	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	844	263
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	700	844

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
გიორგი ყიფიანი



ფინანსური დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი



9-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

„ინოვა“ („მშობელი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მშობელი და მისი შვილობილი (შენიშვნა 2.3. კონსოლიდაციის საფუძველი) ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ფართო სპექტრის სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პაციენტებისთვის.

ჯგუფის კლინიკა მდებარეობს თბილისში, საბურთალოზე, ზ.ანჯაფარიძის (ყოფილი სანდრო ეულის) 1-ლი შესახვევი, №6.

ჯგუფის მფლობელები არიან:	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“	54%	54%
გოჩა ჩუტკერაშვილი	9%	9%
ირაკლი ჭელიშვილი	9%	9%
რამაზ ალღემაშვილი	9%	9%
ირაკლი თოდუა	9%	9%
დავით დოთიაშვილი	5%	5%
ზურაბ ნარიშკინი	5%	5%
	100%	100%

საანგარიშგებო პერიოდში შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“ („ჯგუფის მშობელი“) საბოლოო მფლობელები იყვნენ:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
შპს პაშა ინვესტმენტი (აზერბაიჯანი)	45.00%	45.00%
გიორგი ყიფიანი	13.75%	13.75%
ივანე მარტიაშვილი	13.75%	13.75%
მიხეილ გუგუბერიძე	13.75%	13.75%
დავით ფანჯაკიძე	13.75%	13.75%
	100.00%	100.00%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ჯგუფი წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებები

ჯგუფმა „ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებებში“ შესული შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ეს შესწორებები მოიცავს ზეგავლენის ქვეშ მყოფი სტანდარტების შესწორებას ისე, რომ მათში მითითება მოცემული იყოს ახალ კონცეპტუალურ ჩარჩოზე. თუმცა, მითითებები განახლებული ყველა შესწორებაში არაა. ზოგიერთი შემთხვევაში განახლება მიზნად ისახავს მხოლოდ იმის ჩვენებას, თუ კონცეპტუალური ჩარჩოს რომელ ვარიანტზეა მითითება (2001 წლის სტანდარტების საბჭოს მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ჩარჩოზე, 2010 წლის სტანდარტების საბჭოს ჩარჩოზე თუ 2018 წლის ახალ, გადამუშავებულ ჩარჩოზე) ან იმის ჩვენებას, რომ სტანდარტში მოცემული განსაზღვრებები არ განახლებულა კონცეპტუალური ჩარჩოს გადამუშავებული ვარიანტის შესაბამისად.

შესწორებები ეხება სტანდარტებს ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასს 12, ფასს 19, ფასს 20, ფასს 22 და სიკ-32.

შესწორებები ფასს 3 - ბიზნესის განსაზღვრება

ჯგუფმა ფასს 3 სტანდარტის შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები განმარტავს, რომ თუმცა, ბიზნესი ხასიათდება პროდუქტით, იმისათვის, რომ საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული სიმრავლე ბიზნესად ჩაითვალოს, პროდუქტის არსებობა აუცილებელი არ არის. იმისათვის, რათა მიღებული საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული სიმრავლე ბიზნესად ჩაითვალოს, მას უნდა გააჩნდეს, სულ მცირე, შემავალი კომპონენტი და არსობრივი პროცესი, რაც ერთობლივად მნიშვნელოვნად ეხმარება მის უნარს, წარმოქმნას პროდუქტი.

შესწორებებით უქმდება იმის შეფასება, შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს ჩაანაცვლონ არარსებული შემავალი კომპონენტი თუ პროცესი და გააგრძელონ პროდუქტის წარმოება. გარდა ამისა, შესწორებაში მოცემულია დამატებითი მითითებები, რომლებიც პირს ეხმარება იმის განსაზღვრაში, მიღებული აქვს თუ არა მას არსობრივი პროცესი.

“ინოვა” ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

(ათას ქართულ ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესწორებაში მოცემულია ნებაყოფლობითი კონცენტრაციის ტესტი, რომელიც გამარტივებული წესით აფასებს, არის თუ არა საქმიანობათა და აქტივების მიღებული სიმრავლე ბიზნესი. კონცენტრაციის ნებაყოფლობითი ტესტით, საქმიანობათა და აქტივების მიღებული სიმრავლე ბიზნესი არ არის, თუ მიღებული მთლიანი აქტივების არსებითად მთლიანი რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ ხილულ აქტივში ან მსგავსი აქტივების ჯგუფში.

შესწორება რეტროსპექტიულად ვრცელდება ყველა ბიზნეს-კომბინაციასა და აქტივების შესყიდვაზე, რომელთა შესყიდვა მოხდა 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ პირველ საანგარიშგებო პერიოდში, ვადამდელი გამოყენების ნებართვით.

შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ბასს 8 - არსებითობის განსაზღვრება

ჯგუფმა ბასს 1 და ბასს 8 სტანდარტებში შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები უფრო გასაგებს ხდის ბასს 1 სტანდარტში მოცემულ არსებითობის განსაზღვრებას და არ ისახავს მიზნად ფასს სტანდარტებში არსებითობის ფუნდამენტური პრინციპის შეცვლას. ახალ განსაზღვრებაში შესულია არსებითი ინფორმაციის არაარსებითი ინფორმაციით „მიჩქმალვის“ ცნება.

არსებითობის მომხმარებელზე მოქმედი დონე შეიცვალა და „შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს“ ფრაზა ჩანაცვლდა ფრაზით „გონივრულად მოსალოდნელია, ზეგავლენა იქონიოს“.

ბასს 8 სტანდარტში არსებითობის განსაზღვრება ჩანაცვლდა ბასს 1 სტანდარტში მოცემული არსებითობის განსაზღვრებაზე მითითებით. გარდა ამისა, თანმიმდევრულობის დასაცავად, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე შესწორება შეიტანა სხვა სტანდარტებსა და „კონცეპტუალური ჩარჩოს“ სხვა პარაგრაფებში, რომლებშიც იმთავითვე იყო მოცემული „არსებითის“ განსაზღვრება ან რომლებშიც გამოყენებული იყო ტერმინი „არსებითი“.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 17	სადაზღვევო კონტრაქტები
ფასს 10 და ბასს 28 (შესწორება)	აქტივების გაყიდვა ან შენატანი ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
შესწორება სტანდარტში ბასს 1	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად
შესწორება სტანდარტში ბასს 8	სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება
შესწორება სტანდარტში ფასს 3	მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე
შესწორება სტანდარტში ბასს 16	ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი
შესწორება სტანდარტში ბასს 37	წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი
წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი	შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 - იჯარა და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

2.3. კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობლის და მისი შვილობილის შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებს და ვალდებულებებს.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი, ე. ი. ჯგუფი იღებს ან აქვს უფლება მიიღოს ცვლადი უკუგება საწარმოში მისი ჩართულობის საფუძველზე და აქვს ამ უკუგებაზე გავლენის მოხდენის უნარი ორგანიზაციის შესაბამისი საქმიანობების მართვის მის ხელთ არსებული ამჟამინდელი შესაძლებლობით

“ინოვა” ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

(ათას ქართულ ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოზე). შვილობილის კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეითება მთლიანად კონსოლიდაციისას.

ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში ცალკე არის წარმოდგენილი არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილების წმინდა აქტივებში და შედეგებში.

მშობელი ფლობს მისი ერთადერთი შვილობილის - შპს „ინოვა ინ ვიტროს“ („შვილობილი“) 70%-ს. შვილობილი დაფუძნდა 2016 წლის 27 მაისს, ოპერირებს ინ ვიტრო განაყოფიერების კლინიკას მშობლის კლინიკის ტერიტორიაზე და კლიენტებს აწვდის რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებას. შვილობილის შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

2.4. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება შემოსავლის საიმედო შეფასება.

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, გაწეული ხარჯების იმ მოცულობის ფარგლებში, რომლის ანაზღაურებაც შესაძლებელია. შემოსავალი არის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება, რომელსაც აკლდება მოსალოდნელი დაბრუნება, სავაჭრო ფასდაკლებები და ბრუნვის გადასახადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფის შემოსავლის უდიდესი ნაწილი წარმოიშობა სამედიცინო მომსახურების გაწევიდან. სამედიცინო მომსახურებების ძირითადი მიმართულებებია:

- ამბულატორიული მომსახურება (ამბულატორია)
- სტაციონარული მომსახურება (ქირურგიული ოპერაციები, ინტენსიური თერაპია, საავადმყოფოში დარჩენა 24 საათზე მეტ ხანს)
- ინ ვიტრო განაყოფიერება (IVF)

ჯგუფი აღრიცხავს ხელშეკრულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ხელშეკრულების მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება და მზად არიან შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები
- ჯგუფს შეუძლია მოახდინოს ყველა იმ მხარის მოვალეობის იდენტიფიცირება, რომელსაც მიეწოდება მომსახურება
- ჯგუფს შეუძლია იდენტიფიცირება მოახდინოს გადახდის პირობების, რომელიც დაკავშირებული მომსახურების მიწოდებასთან
- ხელშეკრულებას გააჩნია ეკონომიკური შინაარსი
- მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მოახერხებს იმ თანხების მიღებას, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან.

ამბულატორიული მომსახურება - მისი გაწევა ხდება წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც პაციენტი განაცხადებს მზადყოფნას სამედიცინო მომსახურების მისაღებად. შეთანხმებას ამბულატორიული მომსახურების თაობაზე არ აქვს ვადის ამოწურვის თარიღი. ვინაიდან ამბულატორიული მომსახურების ხანგრძლივობა 24 საათზე ნაკლებია და ითვლება პაციენტისთვის სრულად გაწეულად, ამბულატორიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმავე მონაკვეთში.

სტაციონარული მომსახურება - მისი გაწევა ხდება აგრეთვე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. სტაციონარული მომსახურების ხანგრძლივობა შეიძლება მერყეობდეს ერთი დღიდან რამდენიმე თვემდე. შემოსავლის აღიარება ხდება პაციენტის საავადმყოფოდან გაწერის მომენტში.

ინ ვიტრო განაყოფიერება - მომსახურების გაწევა ხდება ძირითადად ზეპირ შეთანხმებაზე დაყრდნობით. პაციენტი მკურნალობისთვის მზადყოფნას აცხადებს წერილობით, თუმცა პროცესის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასა და მკურნალობის პერიოდზე ხდება ზეპირი შეთანხმება. გამომდინარე იქიდან, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესი მოსალოდნელია გაგრძელდეს რამდენიმე თვის განმავლობაში, შემოსავლის აღიარება

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხდება დროთა განმავლობაში, შედეგების მეთოდის გამოყენებით შესასრულებელი ვალდებულებების შეფასების გზით, იმ ოდენობით, რომელზეც ჯგუფს აქვს ინვოისის გაცემის უფლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი გამარტივებული მიდგომები:

- ჯგუფი არ აკორექტირებს ანაზღაურების დათქმულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუ პერიოდი, როდესაც კომპანია კლიენტს გადასცემს დაპირებულ საქონელს ან უწყევს მომსახურებას და როდესაც კლიენტი იხდის თანხას საქონლის ან მომსახურებისთვის, არის ერთი წელი ან უფრო ნაკლები, და
- ჯგუფი კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებულ დამატებით დანახარჯებს აღიარებს, როგორც გაწეულ ხარჯს, რომელიც დგება იმ შემთხვევაში, თუ იმ აქტივის ამორტიზაციის პერიოდი, რომელსაც ჯგუფი სხვაგვარად აღიარებდა, წარმოადგენს ერთ წელს ან უფრო ნაკლებს.

2.5. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მიწის დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	ცვეთის მეთოდი
შენობები	2% წრფივად
სამედიცინო აღჭურვილობა	15-40% წრფივად
სხვა	15-40% წრფივად
მიწა	არ იცვითება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა

გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.6. იჯარა

იჯარის დაწყების დღეს, საიჯარო ვალდებულება იზომება მომავალი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით. აქტივების გამოყენების უფლების თავდაპირველი აღიარება ხდება საიჯარო ვალდებულების სიდიდით, იზრდება რომელიმე ადრე განხორციელებული საიჯარო გადასახდელით (მიღებული საიჯარო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შედავითების გამოკლებით), ჯგუფის მიერ გაწეული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით და ჯგუფის მიერ განხორციელებული დემონტაჟისა და აღდგენის ხარჯების შეფასებით.

საიჯარო გადასახადები განაწილებულია ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალში, თუ ისინი პირდაპირ არ მიეკუთვნება განსაკუთრებულ აქტივებს, რა შემთხვევაშიც ხდება მათი კაპიტალიზაცია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების თაობაზე ჯგუფის ძირითადი პოლიტიკის შესაბამისად. პირობითი საიჯარო გადასახადები, რომლებიც წარმოიშვება ფინანსური იჯარის პირობებში, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საიჯარო გადასახადი, რომლებიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშვება ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

მოკლევადიანი იჯარები (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა (როგორიცაა პერსონალური კომპიუტერები და საოფისე ავეჯი), აღიარებულია საიჯარო ხარჯებში წრფივი მეთოდის გამოყენებით ფასს 16-ის შესაბამისად. ნებისმიერი მოგება/(ზარალი), რომელიც წარმოიშვება საიჯარო კონტრაქტების გაუქმების ან შეცვლის შედეგად, მიეკუთვნება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კატეგორიას.

2.7. არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის ხარჯი ერიცხება არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (7 წელი) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ მსგავსი მომსახურების ვადა უსასრულო არ არის. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.8. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.10. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს-მოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI)“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- ჯგუფმა გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) ჯგუფმა გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) ჯგუფს არც გაუსხვისებია და არც ინარჩუნებს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს

შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტიანი სესხების შემთხვევაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლდება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.11. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით.

2.12. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.28	4.02
საშუალო გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	3.11	3.55
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	2.82	3.16

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.13. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2.14. ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობიანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-10 შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 458 ლარს და 259 ლარს, შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

4. შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია შვილობილის შესახებ

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია, არამაკონტროლებელი წილისთვის განკუთვნილ თანხებთან ერთად, ეფუძნება შვილობილის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად.

	31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	
	2020	2019
მიმდინარე აქტივები	1,998	1,986
გრძელვადიანი აქტივები	459	644
მიმდინარე ვალდებულებები	(1,114)	(860)
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
შვილობილის წმინდა აქტივები	1,343	1,770
არამაკონტროლებელი წილი	30%	30%
არამაკონტროლებელი წილი შვილობილის წმინდა აქტივებში	403	531
მშობლის ზეპროპორციული შენატანი შვილობილის კაპიტალში	(91)	(91)
არამაკონტროლებელი წილის ნაშთი	312	440
საოპერაციო შემოსავალი	6,385	8,376
წლიური მოგება	973	1,080
წლიური სხვა სრული შემოსავალი	973	1,080
არამაკონტროლებელი წილისთვის განკუთვნილი წლიური მოგება	292	325

5. საოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
ამბულატორიული მომსახურება	5,164	4,974
სტაციონალური მომსახურება	14,321	17,065
ინ ვიტრო განაყოფიერება	3,502	5,205
სხვა შემოსავალი	201	50
გაყიდვების დაბრუნება და ანარიცხები	(111)	(71)
სულ საოპერაციო შემოსავალი	23,077	27,223

6. საოპერაციო ხარჯები

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს გაწეული მომსახურების თვითღირებულებასა და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ბუნების მიხედვით.

<i>მომსახურების თვითღირებულება</i>	2020	2019
თანამშრომელთა კომპენსაცია	9,370	11,086
გამოყენებული მარაგები (მედიკამენტები და სამედიცინო მასალები)	6,141	7,902
ცვეთა და ამორტიზაცია	1,682	1,619
ლაბორატორიული და სხვა სამედიცინო მომსახურება	1,199	1,174
კომუნალური	318	331
გაყიდვის ხარჯი	143	97
სხვა	301	233
სულ მომსახურების თვითღირებულება	19,154	22,442

6. საოპერაციო ხარჯები (გაგრძელება)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
თანამშრომელთა კომპენსაცია	1,147	1,145
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	232	173
სხვადასხვა სამეურნეო ხარჯები	211	143
ცვეთა და ამორტიზაცია	200	249
რემონტი და მოვლა-შენარჩუნების ხარჯი	126	127
ბანკის საკომისიო	107	120
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	86	86
აუდიტის ხარჯი	20	27
მარკეტინგი	16	78
IT ხარჯები	16	81
მიღებული მომსახურების ხარჯი	11	13
იჯარა	9	38
წარმომადგენლობითი ხარჯები	1	30
სხვა	193	203
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,375	2,513

7. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი ბანკის სესხებზე	625	526
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	7	50
საპროცენტო შემოსავალი	(44)	(37)
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	588	539

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	სამედიცინო აღჭურვილობა	სხვა	სულ
ღირებულება					
31 დეკემბერი 2018	965	16,956	6,465	986	25,372
შეძენა	-	65	472	61	598
გასვლა	-	-	(61)	(1)	(62)
31 დეკემბერი 2019	965	17,021	6,876	1,046	25,908
შეძენა	-	-	1,007	80	1,087
გადაფასების რეზერვი	-	2,909	-	-	2,909
გასვლა	-	-	(29)	-	(29)
31 დეკემბერი 2020	965	19,930	7,854	1,126	29,875
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2018	-	376	2,903	434	3,713
პერიოდის ცვეთა	-	361	1,229	250	1,840
გასვლა	-	-	(4)	(1)	(5)
31 დეკემბერი 2019	-	737	4,128	683	5,548
პერიოდის ცვეთა	-	423	1,231	200	1,854
ცვეთის ელიმინაცია გადაფასებისას	-	(755)	-	-	(755)
გასვლა	-	-	(7)	-	(7)
31 დეკემბერი 2020	-	405	5,352	883	6,640
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	965	16,284	2,748	363	20,360
31 დეკემბერი 2020	965	19,525	2,502	243	23,235

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის შენობები წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც გულისხმობს სამართლიან ღირებულებას შეფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობების შეფასება განხორციელდა 2020 წლის 1 მარტს, დამოუკიდებელი შემფასებლის Colliers International Georgia-ს მიერ, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების („IVS“) შესაბამისად.

შენობები თვითღირებულებით აღრიცხული რომ ყოფილიყო, მათი ნარჩენი ღირებულება იქნებოდა შემდეგი:

შპს „ინოვა“	2020	2019
ღირებულება	17,021	17,021
დაგროვილი ცვეთა	(1,077)	(737)
წმინდა საბალანსო ღირებულება	15,944	16,284

შპს „ინოვა ინვესტრო“ არ ფლობს შენობა-ნაგებობებს.

ჯგუფის ქონება დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 12).

ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
მედიკამენტები და სამედიცინო მასალები	1,404	1,142
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,404	1,142

სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
მოთხოვნები „სოციალური მომსახურების სააგენტოსგან“	1,802	2,489
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისგან	233	198
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	130	265
მოთხოვნები ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისგან	149	146
მოთხოვნები კლინიკებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან	143	25
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,011	1,116
გაუფასურების რეზერვი	(458)	(259)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	3,010	3,980
გადახდილი ავანსები	281	204
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებს	34	157
საგადასახადო აქტივი, წმინდა	231	133
სხვა აქტივები	25	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,581	4,474

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის არსებითი.

„სოციალური მომსახურების სააგენტო“ („SSA“) არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე. SSA იხდის დავალიანებას ჯგუფის მიმართ მისი წარმოქმნიდან დაახლოებით 5 თვის განმავლობაში.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

1 იანვარი 2019	86
პერიოდის რეზერვის ხარჯი	173
31 დეკემბერი 2019	259
პერიოდის რეზერვის ხარჯი	232
მოთხოვნების ჩამოწერა	(33)
31 დეკემბერი 2020	458

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებულ ქართულ ლარში (იხილეთ შენიშვნა 15).

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

<i>ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით</i>	31-დეკ-20	31-დეკ-19
ლარი	333	525
ევრო	22	78
აშშ დოლარი	345	241
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები:	700	844

<i>ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკების მიხედვით</i>	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფულადი სახსრები სალაროში	1	2
ფულადი სახსრები სს „ბაზის ბანკში“	15	335
ფულადი სახსრები სს „საქართველოს ბანკში“	682	498
ფულადი სახსრები სს „თიბისი ბანკში“	2	9
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები:	700	844

12. მიღებული სესხები

**2020 წლის 31
დეკემბერი**

კრედიტორი	დასახელება	ვალუტა	ვადა (წლები)	პროცენტი	გრძელვადიანი სესხი	მოკლევადიანი სესხი
სს „ბაზის ბანკი“	კრედიტი	ლარი	(1-5)	12.00%	393	168
სს „ბაზის ბანკი“	კრედიტი	ლარი	(5-10)	12.00%	4,502	340
სს „ბაზის ბანკი“	საკრედიტო ხაზი	ლარი	(0 - 1)	12.00%	-	420
სს „თიბისი ლიზინგი“	საიჯარო ვალდებულებები	აშშ დოლარი	(3-5)	9.00%	-	12
					4,895	940

**2019 წლის 31
დეკემბერი**

კრედიტორი	დასახელება	ვალუტა	ვადა (წლები)	პროცენტი	გრძელვადიანი სესხი	მოკლევადიანი სესხი
სს „ბაზის ბანკი“	კრედიტი	ლარი	(1-5)	10.50%	510	155
სს „ბაზის ბანკი“	კრედიტი	ლარი	(5-10)	10.50%	4,730	334
სს „თიბისი ლიზინგი“	საიჯარო ვალდებულებები	აშშ დოლარი	(3-5)	9.00%	5	91
					5,245	580

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხებისა და იჯარების მოძრაობა:

	სესხები		იჯარა	
	2020	2019	2020	2019
1 იანვარი	5,730	5,613	96	510
ძირი თანხის დამატება	1,570	6,316	-	-
დარიცხული პროცენტი	626	526	7	50
გადახდილი ძირი თანხა	(1,481)	(6,705)	(93)	(443)
გადახდილი პროცენტი	(622)	(515)	(7)	(50)
საკურსო სხვაობის კორექტირება	-	494	9	29
31 დეკემბერი	5,823	5,729	12	96

ბანკიდან აღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით და მესაკუთრეთა წილებით ჯგუფში.

მიღებული სესხების და სალიზინგო ვალდებულებების მიზნობრიობას წარმოადგენს ბიზნეს პროცესების დაფინანსება, კერძოდ, ძირითადი საშუალებების შეძენა. ჯგუფმა საავადმყოფოს შენობის ასაშენებლად და სამედიცინო აპარატურის შესაძენად აიღო ბიზნეს სესხი, რომლის თავდაპირველ ვალუტას წარმოადგენდა აშშ დოლარი. საკრედიტო ხაზის მიზნობრიობას წარმოადგენს მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის დაფინანსება. 2019 წლის ივნისში, ჯგუფმა მოახდინა სესხების რესტრუქტურირაცია და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა სესხი არის სს “ბაზის ბანკიდან” და ნომინირებულია ლარში. ყველა სალიზინგო ვალდებულება ნომინირებულია აშშ დოლარში.

13. ვალდებულება დაკავშირებული მხარის აქტივების შეძენიდან

2017 წლის 21 დეკემბერს კომპანიამ მთლიანად შეიძინა აქტივები შპს „ჰელიოსისგან“. შედეგად წარმოქმნილ დავალიანებას კომპანია იხდის შპს „ჰელიოსის“ საჭიროების შესაბამისად. 2021 წლის განმავლობაში იგეგმება კომპანიის და შპს „ჰელიოსის“ შერწყმა, რის გამოც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანება 14,873 ლარის ოდენობით კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე. აღნიშნული შერწყმის შედეგად, ამ დავალიანებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ჩაანაცვლებს შპს „ჰელიოსის“ ვალდებულებები და გადაფასების რეზერვი 11,209 ლარის ოდენობით.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო ვალდებულებები	897	912
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	419	958
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	34	23
გადასახდელი ხელფასები	588	569
მიღებული ავანსები	1,038	884
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	2,976	3,346

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გაშლა ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 15-ში.

15. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას ჯგუფს გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდობის რისკი: რისკი იმისა, რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

15. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

- საბაზრო რისკები: რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, ჯგუფი იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,044	4,137
ფული და ფულის ეკვივალენტები	700	844
	3,744	4,981

ფინანსური ვალდებულებები	31-დეკ-20	31-დეკ-19
სესხები	5,835	5,825
ვალდებულება დაკავშირებული მხარის აქტივების შემენიდან	14,873	15,910
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,938	2,462
	22,646	24,197

საკრედიტო რისკი

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. ჯგუფის ყველაზე დიდი დებიტორია საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი სოციალური მომსახურების სააგენტოს (SSA) (შენიშვნა 10) სახით. SSA იხდის დავალიანებას ჯგუფის მიმართ მისი წარმოშობიდან დაახლოებით 5 თვის განმავლობაში.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში.

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,044	4,137
ფულადი სახსრები ბანკში	699	842
	3,743	4,979

15. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დასაფარი ვადებით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები)

სავაჭრო მოთხოვნები	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	1,012	1,687	769	-	-	3,468
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,012	1,687	769	-	-	3,468

სავაჭრო მოთხოვნები	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	983	1,708	1,548	-	-	4,239
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	983	1,708	1,548	-	-	4,239

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სესხები	96	192	1,278	3,977	3,533	9,076
საიჯარო ვალდებულება	2	4	6	-	-	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	613	615	88	-	-	1,316
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	711	811	1,372	3,977	3,533	10,404

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სესხები	87	175	786	3,924	3,958	8,930
საიჯარო ვალდებულება	25	41	30	5	-	101
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	712	992	166	-	-	1,870
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	824	1,208	982	3,929	3,958	10,901

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კომპანიას ძირითადად აქვს დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 14). როგორც მე-13 შენიშვნაშია აღნიშნული, ვალდებულება დაკავშირებული მხარის აქტივების შეძენიდან, რაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 14,873 ლარს, დაგეგმილი შერწყმიდან გამომდინარე, კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე.

ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში, ამისთვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (შენიშვნა 12). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზარდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

15. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირია:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,044	-	-	3,044
ფული და ფულის ეკვივალენტები	333	345	22	700
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,377	345	22	3,744

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	5,823	12	-	5,835
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,819	20	99	1,938
ვალდებულებები დაკავშირებული მხარის აქტივების შეძენიდან	14,873	-	-	14,873
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,515	32	99	22,646

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,137	-	-	4,137
ფული და ფულის ეკვივალენტები	525	241	78	844
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,662	241	78	4,981

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	5,730	89	-	5,819
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,446	3	13	2,462
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,176	92	13	8,281

სენსიტიურობის ანალიზი

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გმყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგებას 32 ლარით (2019: 15 ლარით).

16. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციების მოცულობა და ნაშთები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ტრანზაქციების ოდენობა:	2020	2019
გაყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებულ საწარმოებზე	108	233
შესყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოებისგან	3,668	4,145
საკვანძო მენეჯმენტის ანაზღაურება	88	116
ნაშთები	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	133	265
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	15,293	16,909
სესხები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	-	-

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

სესხის აღება

2021 წლის სექტემბერში ჯგუფმა ბაზის ბანკისგან აიღო სესხი 390 ლარის მოცულობის 3 წლის ვადით.

დივიდენდების გამოცხადება

2021 წლის მარტში შვილობილმა არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე გამოაცხადა დივიდენდი 90 ლარის ოდენობით.

2021 წლის მაისში შვილობილმა არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე გამოაცხადა დივიდენდი 90 ლარის ოდენობით.

2021 წლის ივლისში შვილობილმა არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე გამოაცხადა დივიდენდი 90 ლარის ოდენობით.

2021 წლის ივნისში მშობელმა გამოაცხადა დივიდენდი 282 ლარის ოდენობით.

ინოვა და შვილობილი კომპანია

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ორგანიზაციის ბიზნეს-განვითარება, ფინანსური მაჩვენებლები და მდგომარეობა

„ინოვა“ და მისი შვილობილი კომპანია (ერთობლივად მოიხსენიება როგორც „ჯგუფი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ფართო სპექტრის სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევას.

ჯგუფის სათავე ოფისი მდებარეობს თბილისში, ზ. ანჯაფარიძის 1-ლი შესახვევი, #6.

ჯგუფის მფლობელია „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“. „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ საბოლოო მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
პაშა ინვესტმენტი (აზერბაიჯანი)	45.00%	45.00%
გიორგი ყიფიანი	13.75%	13.75%
ივანე მარტიაშვილი	13.75%	13.75%
მიხეილ გუგუბერიძე	13.75%	13.75%
დავით ფანჯაკიძე	13.75%	13.75%
	100%	100%

ჯგუფის კაპიტალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 351 ათას ლარს, ხოლო ამავე პერიოდებისთვის შემოსავალი შესაბამისად - 23,077 ათას და 27,223 ათას ლარს.

ჯგუფის სტრატეგია:

- ჯგუფი გეგმავს საქართველოში არსებული ჯანდაცვის სფეროში მოდერნიზაციის წამყვანი კომპანიების რიგში შესვლას მომხმარებლებისა და მომსახურე პერსონალის მუდმივი პრიორიტეტულობის გზით.
- მომხმარებლებისთვის უმაღლესი ხარისხის მომსახურების გაწევას.
- ახალი მიმართულებების და შესაძლებლობების დანერგვაში წამყვანი პოზიცია.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი არის წამყვანი მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი საქართველოში და მდებარეობს საქართველოში, თბილისში.

ინოვას სამედიცინო ცენტრი არის საბურთალოს რაიონში, 4-სართულიან შენობაში განთავსებული საავადმყოფო. მშენებლობა დაიწყო 2014 წელს და კლინიკა გაიხსნა 2015 წლის ოქტომბერში. მას აქვს 20-30% -ით მაღალი ფასები ვიდრე ჰოსპიტლებს საშუალოდ. ინოვას აქვს 7 საოპერაციო ბლოკი და 108 საწოლი: 19 ინტენსიური თერაპიის განყოფილება და 89 სტაციონარული საწოლი. კომპანია მომსახურებას უწევს თვეში საშუალოდ 342 სტაციონარულ და 1358 ამბულატორიულ პაციენტს. ჰყავს 262 თანამშრომელი. ძირითადი მიმართულებებია: გინეკოლოგია, ტრავმატოლოგია და ორთოპედია, ნეიროქირურგია, ზოგადი ქირურგია, ბარიატრიული ქირურგია, მამოლოგია, ოფთალმოლოგია. ინოვას ასევე აქვს საკუთარი ლაბორატორია და უზრუნველყოფს ფართო სპექტრის კლინიკურ და დიაგნოსტიკურ კვლევებს, მათ შორის: ტომოგრაფია, რადიოგრაფია, ულტრაბგერითი, კოლპოსკოპია და სხვ. კლინიკა სრულადაა აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო დანადგარებით.

ინოვა ინვეტრო ორიენტირებულია გინეკოლოგიასა და უნაყოფობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე, მათ შორის: ორსულობის მონიტორინგის პროგრამები, ულტრასონოგრაფია, ენდოკრინოლოგია, ICSI (ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინექცია), IVF (ხელოვნულ პირობებში განაყოფიერება), TESE, სუროგაციისა და დონორის პროგრამები.

ორგანიზაციის სამომავლო განვითარების გეგმები

კოვიდ-19 პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკასა და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ჯგუფი გეგმავს ყოველგვარი რეკომენდაციების გათვალისწინებასა და კანონისმიერი მოთხოვნების შესრულებას, რათა მისი საქმიანობა შეესაბამებოდეს არსებულ რეგულაციებს.

ბაზარზე არსებული რყევებისა და ცვალებადობის მიუხედავად, ჯგუფი კვლავ ინარჩუნებს თავის საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიებს. ესენია:

- ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა შვილობილ კომპანიებში
- სამედიცინო ინფრასტრუქტურის თანამედროვე ტექნოლოგიებით მოდერნიზება ფინანსური ეფექტიანობის შენარჩუნების ფონზე, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში არსებული რეალობის გათვალისწინებით.
- პერსონალის (როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო) განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში მუდმივი ინვესტირება
- ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებების დანერგვა

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალი ცვლილება განხორციელდა „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ დაფინანსების კუთხით. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად მოიცავდა პროგრამის მხრიდან დაფინანსების განაკვეთების შემცირებას. ამ ცვლილებებმა ჯანდაცვის სექტორზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, რამდენადაც სამედიცინო მომსახურების მრავალი მიმწოდებლისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წილი მთლიან შემოსავალში 20%-ს შეადგენს. ჩვენი ჯგუფის სტრატეგია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მიმართული იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების წილის შემცირებისკენ მთლიან შემოსავლებთან მიმართებით. ეს მიღწეულ იქნა უფრო თანამედროვე მომსახურებების დანერგვითა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე ცნობილი პროფესიონალების ქართველი საზოგადოებისთვის გაცნობით. აღნიშნულმა სტრატეგიამ გაამართლა, ვინაიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებმა გაცილებით ნაკლები უარყოფითი გავლენა მოახდინა ჯგუფზე მთელ ჯანდაცვის სფეროსთან შედარებით. ჩვენ მომდევნო წლებშიც ვაპირებთ ამ სტრატეგიის შენარჩუნებას.

ჯგუფი ახლო მომავალში აპირებს საქმიანობის გაფართოებას ამბულატორიული მიმართულებით. ეს უფრო ხელმისაწვდომს გახდის პირველად სამედიცინო მომსახურებას. ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად, ამგვარი მომსახურების დანერგვას ვგეგმავთ ცნობადი და პროფესიონალი ქართველი სპეციალისტების დახმარებით.

ასევე, ჯგუფი ინარჩუნებს სამედიცინო ტურიზმის განვითარების მიმართულებასაც. სამწუხაროდ, კოვიდ-19 პანდემიამ საერთაშორისო პაციენტებისთვის შეუძლებელი გახადა ჯანდაცვის მიზნებისთვის საზღვარგარეთ მოგზაურობა. თუმცა, ჩვენ დიდ შესაძლებლობებს ვხედავთ რეპროდუქციული და ესთეტიკური მედიცინის განვითარების კუთხით სამოგზაურო შეზღუდვების მოხსნის პარალელურად. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ გავხდით წამყვანი მოთამაშეები რეპროდუქციულ მედიცინაში წამყვანი კლინიკით - ინოვა ინვიტრო. რამდენადაც ჩვენ დავამყარეთ მჭიდრო ურთიერთობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, ველით საერთაშორისო პაციენტთა მეტი ნაკადების შემოდინებას.

2021 წელს ჯგუფის გეგმავს რამდენიმე პროექტის განხორციელებას. მათ შორის:

- ინვესტიციების განხორციელება თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობაში უფრო მაღალი ხარისხის მომსახურებების უზრუნველსაყოფად
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო კადრების დაქირავება

ინოვაცია და შვილობილი კომპანია

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

ჯგუფს კვლევისა და განვითარების კუთხით პროექტები არ განუხორციელებია.

ინფორმაცია ორგანიზაციის ფილიალებზე

ჯგუფი იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

ჯგუფის მიერ 2019 წელს არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შესყიდვა.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

		2020	2019
1	შემოსავალი	23,077	27,221
2	მთლიანი მოგება	3,923	4,781
3	წმინდა (ზარალი)/მოგება	1,052	1,203
4	მთლიანი მოგების მარჟა	17%	18%
5	წმინდა მოგების მარჟა	5%	4%

სხვა არსებითი მაჩვენებლები მოიცავს შემდეგს:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის პერსონალი შედგებოდა 324, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 325 თანამშრომლისგან. შრომის ანაზღაურების ხარჯები ყოველთვიურად ცვალებადია სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების სისტემის მახასიათებლებიდან გამომდინარე. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საშუალო თვიურმა სახელფასო ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა 877 ათასი და 1,020 ათასი ლარი.

ჯგუფი მომხმარებელს მრავალი სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს. მათ შორის: 700 განსხვავებული სახის ამბულატორიული, 610 სახის სტაციონარული და 70 - ინვიტრო მომსახურება.

მიღებული პაციენტების რაოდენობა:

მომსახურება	2020	2019
ამბულატორიული	16 302	18 677
სტაციონარული	4 107	4 079
ხელოვნური განაყოფიერება	858	2 063

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. ჯგუფის გაყიდვების უდიდესი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვებზე. გარდა ჯგუფის შიდა ტრანზაქციებისა, მის ყველაზე მსხვილ დებიტორს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი სსიპ სოციალური

ინოვაცია და შვილობილი კომპანია

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მომსახურების სააგენტოს სახით. ამ უკანასკნელის საკრედიტო პირობებს განსაზღვრავს მთავრობა და იგი შეადგენს დაახლოებით 4 თვეს. რაც შეეხება დანარჩენ კონტრაგენტებს, საკრედიტო ვადა მათთვის 30-დან 90 დღემდეა. ჯგუფს აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების გარკვეული ოდენობა, რომელიც რეზერვდება ჯგუფის დებიტორული დავალიანებების რეზერვირების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან დაკავშირებული საკრედიტო ვადაც 30-დან 90 დღემდე მერყეობს უმხსვილეს კონტრაგენტებთან. თუმცა, ჯგუფს აქვს 6 თვიანი საკრედიტო ვადის მქონე ვალდებულებები კერძო მოლაპარაკებებისდა შესაბამისად. ამჟამად მოსალოდნელია ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვა. ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდიებით. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი მოლაპარაკებებს აწარმოებს მომწოდებლებთან გადახდის თარიღის გადასვადებლად და ბანკებთან მოკლევადიანი სესხის ასაღებად.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკები და განუსაზღვრელობები	მენეჯმენტის რეაგირება
1	სავალუტო რისკი - შესყიდვების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი	2019 წლის მეორე ნახევარში ჯგუფმა მოახდინა აშშ დოლარში დენომინირებული დავალიანებების რესტრუქტურზაცია და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი სესხების 100% დენომინირებულია ლარში.
2	საკრედიტო რისკი – არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს დროულად. შესაბამისად ეს ჯგუფისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს.	„ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.
3	პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც.	მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
4	რეგულირების რისკი - ჯანდაცვის სექტორი ექვემდებარება სამთავრობო რეგულაციებს	მდგრადი ბიზნეს მოდელის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდასა და რეგულაციურ ცვლილებებთან შესაბამისობას.
5	კოვიდ 19-ის რისკი - წარმოების შეწყვეტამ ან ინფრასტრუქტურის დაკეტვამ, მიწოდების ჯაჭვის რღვევამ, პერსონალის კარანტინში ყოფნამ ბიზნესის ოპერირება შეცვალა, მცირედით შეამცირა მოთხოვნა და დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებით სირთულეები წარმოქმნა.	მენეჯმენტი ითვალისწინებს ჯანდაცვის ორგანიზაციების ყველა რეკომენდაციას, რათა უზრუნველყოს ბიზნესის საქმიანობის კოვიდ 19-თან დაკავშირებულ კანონისმიერ მოთხოვნებთან შესაბამისობა და ჯგუფის ეფექტური საქმიანობის გაგრძელება.

დირექტორი

გიორგი ყიფიანი

ინოვა და შვილობილი კომპანია

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ორგანიზაციის ბიზნეს-განვითარება, ფინანსური მაჩვენებლები და მდგომარეობა

„ინოვა“ და მისი შვილობილი კომპანია (ერთობლივად მოიხსენიება როგორც „ჯგუფი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ფართო სპექტრის სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევას.

ჯგუფის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, ზ. ანჯაფარიძის 1-ლი შესახვევი, #6.

ჯგუფის მფლობელია „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“. „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ საბოლოო მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
პაშა ინვესტმენტი (აზერბაიჯანი)	45.00%	45.00%
გიორგი ყიფიანი	13.75%	13.75%
ივანე მარტიაშვილი	13.75%	13.75%
მიხეილ გუგუბერიძე	13.75%	13.75%
დავით ფანჯაკიძე	13.75%	13.75%
	100%	100%

ჯგუფის კაპიტალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით შეადგენს 351 ათას ლარს, ხოლო ამავე პერიოდებისთვის შემოსავალი შესაბამისად - 23,077 ათას და 27,223 ათას ლარს.

ჯგუფის სტრატეგია:

- ჯგუფი გეგმავს საქართველოში არსებული ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე წამყვანი კომპანიების რიგში შესვლას მომხმარებლებისა და მომსახურე პერსონალის მუდმივი პრიორიტეტულობის გზით.
- მომხმარებლებისთვის უმაღლესი ხარისხის მომსახურების გაწევა.
- ახალი მიმართულებების და შესაძლებლობების დანერგვაში წამყვანი პოზიცია.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი არის წამყვანი მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი საქართველოში და მდებარეობს საქართველოში, თბილისში.

ინოვას სამედიცინო ცენტრი არის საბურთალოს რაიონში, 4-სართულიან შენობაში განთავსებული საავადმყოფო. მშენებლობა დაიწყო 2014 წელს და კლინიკა გაიხსნა 2015 წლის ოქტომბერში. მას აქვს 20-30% -ით მაღალი ფასები ვიდრე ჰოსპიტლებს საშუალოდ. ინოვას აქვს 7 საოპერაციო ბლოკი და 108 საწოლი: 19 ინტენსიური თერაპიის განყოფილება და 89 სტაციონარული საწოლი. კომპანია მომსახურებას უწევს თვეში საშუალოდ 342 სტაციონარულ და 1358 ამბულატორიულ პაციენტს. ჰყავს 262 თანამშრომელი. ძირითადი მიმართულებებია: გინეკოლოგია, ტრავმატოლოგია და ორთოპედია, ნეიროქირურგია, ზოგადი ქირურგია, ბარიატრიული ქირურგია, მამოლოგია, ოფთალმოლოგია. ინოვას ასევე აქვს საკუთარი ლაბორატორია და უზრუნველყოფს ფართო სპექტრის კლინიკურ და დიაგნოსტიკურ კვლევებს, მათ შორის: ტომოგრაფია, რადიოგრაფია, ულტრაბგერითი, კოლპოსკოპია და სხვ. კლინიკა სრულადაა აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო დანადგარებით.

ინოვა ინვეიტრო ორიენტირებულია გინეკოლოგიასა და უნაყოფობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე, მათ შორის: ორსულობის მონიტორინგის პროგრამები, ულტრასონოგრაფია, ენდოკრინოლოგია, ICSI (ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინექცია), IVF (ხელოვნულ პირობებში განაყოფიერება), TESE, სუროგაციისა და დონორის პროგრამები.

ორგანიზაციის სამომავლო განვითარების გეგმები

კოვიდ-19 პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკასა და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ჯგუფი გეგმავს ყოველგვარი რეკომენდაციების გათვალისწინებასა და კანონისმიერი მოთხოვნების შესრულებას, რათა მისი საქმიანობა შეესაბამებოდეს არსებულ რეგულაციებს.

ბაზარზე არსებული რყევებისა და ცვალებადობის მიუხედავად, ჯგუფი კვლავ ინარჩუნებს თავის საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიებს. ესენია:

- ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა შვილობილ კომპანიებში
- სამედიცინო ინფრასტრუქტურის თანამედროვე ტექნოლოგიებით მოდერნიზება ფინანსური ეფექტიანობის შენარჩუნების ფონზე, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში არსებული რეალობის გათვალისწინებით.
- პერსონალის (როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო) განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში მუდმივი ინვესტირება
- ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებების დანერგვა

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალი ცვლილება განხორციელდა „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ დაფინანსების კუთხით. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად მოიცავდა პროგრამის მხრიდან დაფინანსების განაკვეთების შემცირებას. ამ ცვლილებებმა ჯანდაცვის სექტორზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, რამდენადაც სამედიცინო მომსახურების მრავალი მიმწოდებლისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წილი მთლიან შემოსავალში 20%-ს შეადგენს. ჩვენი ჯგუფის სტრატეგია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მიმართული იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების წილის შემცირებისკენ მთლიან შემოსავლებთან მიმართებით. ეს მიღწეულ იქნა უფრო თანამედროვე მომსახურებების დანერგვითა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე ცნობილი პროფესიონალების ქართველი საზოგადოებისთვის გაცნობით. აღნიშნულმა სტრატეგიამ გაამართლა, ვინაიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებმა გაცილებით ნაკლები უარყოფითი გავლენა მოახდინა ჯგუფზე მთელ ჯანდაცვის სფეროსთან შედარებით. ჩვენ მომდევნო წლებშიც ვაპირებთ ამ სტრატეგიის შენარჩუნებას.

ჯგუფი ახლო მომავალში აპირებს საქმიანობის გაფართოებას ამბულატორიული მიმართულებით. ეს უფრო ხელმისაწვდომს გახდის პირველად სამედიცინო მომსახურებას. ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად, ამგვარი მომსახურების დანერგვას ვგეგმავთ ცნობადი და პროფესიონალი ქართველი სპეციალისტების დახმარებით.

ასევე, ჯგუფი ინარჩუნებს სამედიცინო ტურიზმის განვითარების მიმართულებასაც. სამწუხაროდ, კოვიდ-19 პანდემიამ საერთაშორისო პაციენტებისთვის შეუძლებელი გახადა ჯანდაცვის მიზნებისთვის საზღვარგარეთ მოგზაურობა. თუმცა, ჩვენ დიდ შესაძლებლობებს ვხედავთ რეპროდუქციული და ესთეტიკური მედიცინის განვითარების კუთხით სამოგზაურო შეზღუდვების მოხსნის პარალელურად. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ გავხდით წამყვანი მოთამაშეები რეპროდუქციულ მედიცინაში წამყვანი კლინიკით - ინოვაცია ინვიტრო. რამდენადაც ჩვენ დავამყარეთ მჭიდრო ურთიერთობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, ველით საერთაშორისო პაციენტთა მეტი ნაკადების შემოდინებას.

2021 წელს ჯგუფის გეგმავს რამდენიმე პროექტის განხორციელებას. მათ შორის:

- ინვესტიციების განხორციელება თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობაში უფრო მაღალი ხარისხის მომსახურებების უზრუნველსაყოფად
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო კადრების დაქირავება

ინოვაცია და შვილობილი კომპანია

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

ჯგუფს კვლევისა და განვითარების კუთხით პროექტები არ განუხორციელებია.

ინფორმაცია ორგანიზაციის ფილიალებზე

ჯგუფი იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

ჯგუფის მიერ 2019 წელს არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შესყიდვა.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

		2020	2019
1	შემოსავალი	23,077	27,221
2	მთლიანი მოგება	3,923	4,781
3	წმინდა (ზარალი)/მოგება	1,054	1,203
4	მთლიანი მოგების მარჟა	17%	18%
5	წმინდა მოგების მარჟა	5%	4%

სხვა არსებითი მაჩვენებლები მოიცავს შემდეგს:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის პერსონალი შედგებოდა 324, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 325 თანამშრომლისგან. შრომის ანაზღაურების ხარჯები ყოველთვიურად ცვალებადია სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების სისტემის მახასიათებლებიდან გამომდინარე. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საშუალო თვიურმა სახელფასო ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა 877 ათასი და 1,020 ათასი ლარი.

ჯგუფი მომხმარებელს მრავალი სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს. მათ შორის: 700 განსხვავებული სახის ამბულატორიული, 610 სახის სტაციონარული და 70 - ინვიტრო მომსახურება.

მიღებული პაციენტების რაოდენობა:

მომსახურება	2020	2019
ამბულატორიული	16 302	18 677
სტაციონარული	4 107	4 079
ხელოვნური განაყოფიერება	858	2 063

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. ჯგუფის გაყიდვების უდიდესი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვებზე. გარდა ჯგუფის შიდა ტრანზაქციებისა, მის ყველაზე მსხვილ დებიტორს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი სსიპ სოციალური

ინოვა და შვილობილი კომპანია

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მომსახურების სააგენტოს სახით. ამ უკანასკნელის საკრედიტო პირობებს განსაზღვრავს მთავრობა და იგი შეადგენს დაახლოებით 4 თვეს. რაც შეეხება დანარჩენ კონტრაგენტებს, საკრედიტო ვადა მათთვის 30-დან 90 დღემდეა. ჯგუფს აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების გარკვეული ოდენობა, რომელიც რეზერვდება ჯგუფის დებიტორული დავალიანებების რეზერვების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან დაკავშირებული საკრედიტო ვადაც 30-დან 90 დღემდე მერყეობს უმხსვილეს კონტრაგენტებთან. თუმცა, ჯგუფს აქვს 6 თვიანი საკრედიტო ვადის მქონე ვალდებულებები კერძო მოლაპარაკებებისდა შესაბამისად. ამჟამად მოსალოდნელია ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვა. ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდიანებით. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი მოლაპარაკებებს აწარმოებს მომწოდებლებთან გადახდის თარიღის გადასაადგენლად და ბანკებთან მოკლევადიანი სესხის ასაღებად.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები უკავშირდება შემდეგს:

რისკები და განუსაზღვრელობები	მენეჯმენტის რეაგირება
1. სავალუტო რისკი - შესყიდვების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი	2019 წლის მეორე ნახევარში ჯგუფმა მოახდინა აშშ დოლარში დენომინირებული დავალიანებების რესტრუქტურისაცა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი სესხების 100% დენომინირებულია ლარში.
2. საკრედიტო რისკი - არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს დროულად. შესაბამისად ეს ჯგუფისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს.	„ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.
3. პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც.	მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
4. რეგულირების რისკი - ჯანდაცვის სექტორი ექვემდებარება სამთავრობო რეგულაციებს	მდგრადი ბიზნეს მოდელის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდასა და რეგულაციურ ცვლილებებთან შესაბამისობას.
5. კოვიდ 19-ის რისკი - წარმოების შეწყვეტამ ან ინფრასტრუქტურის დაკეტვამ, მიწოდების ჯაჭვის რღვევამ, პერსონალის კარანტინში ყოფნამ ბიზნესის ოპერირება შეცვალა, მცირედით შეამცირა მოთხოვნა და დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებით სირთულეები წარმოქმნა.	მენეჯმენტი ითვალისწინებს ჯანდაცვის ორგანიზაციების ყველა რეკომენდაციას, რათა უზრუნველყოს ბიზნესის საქმიანობის კოვიდ 19-თან დაკავშირებულ კანონისმიერ მოთხოვნებთან შესაბამისობა და ჯგუფის ეფექტური საქმიანობის გაგრძელება.

დირექტორი

გიორგი ყიფიანი

